

გიანთი ლოჯისტიკის
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
31 დეკემბერი 2017

შინაარსი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება	გვერდი
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში	i
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	ii-v
სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	8
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	9-29

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ეს ანგარიში, რომლის წაკითხვა უნდა მოხდეს დამოუკიდებელი აუდიტორის II გვერდზე წარმოდგენილ პასუხისმგებლობებთან ერთად, განსაზღვრულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება გიანთი ლოჯისტიკის“-ს და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში - „ჯგუფი“) კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში ჯგუფის ხელმძღვანელობის და დამოუკიდებელი აუდიტორის შესაბამისი პასუხისმგებლობების გამიჯვნის თვალსაზრისით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული სააღრიცხვო პრინციპების და პოლიტიკის არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული ფასს-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები ფასს-დან წარმოდგენილი და ახსნილი; და
- კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში ჯგუფს ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ჯგუფში ეფექტური შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება ფასს-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებული 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2018 წლის 27 სექტემბერს.

დავით ტულუში

გენერალური დირექტორი



მერაბ შანშაშვილი

ფინანსური მენეჯერი



დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს „გიანთი ლოჯისტიკის“-ს მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „გიანთი ლოჯისტიკის“-ს და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში - „ჯგუფი“ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველადი გამოყენებით) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითად პრინციპებსა და სხვა განმარტებით შენიშვნებს („კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“).

ჩვენი აზრით თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, გარდა პირობითი მოსაზრების საფუძველის აბზაცში ასახული საკითხის შესაძლო ეფექტისა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ აქმიანობას და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

გამომდინარე იქიდან რომ, ჩვენ დავინიშნეთ შპს გიანთი ლოჯისტიკის“ აუდიტორებად 2017 წლის 31 დეკემბრის შემდგომ პერიოდში, ვერ შევძელით დაკვირვებოდათ წლის დასაწყისში და წლის ბოლოს ჩატარებულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციას, რომლის ღირებულებამაც შესაბამისად შეადგინა 446,188 ლარი და 416,270 ლარი. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა კორექტირებების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ სასაქონლო მატერიალური ფასეულობებთან დაკავშირებით საანგარიშგებო პერიოდის ოპერაციებზე, საწყის ნაშთებზე და საწყისი პერიოდის დაგროვილ მოგებაზე. აღნიშნული ფაქტის არსებითი ეფექტის გამო ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგების მიმდინარე და შესაბამის მონაცემებზე ჩვენი მოსაზრება სასაქონლო მატერიალური ფასეულობების საწყის და 2017 წლის 31 დეკემბრით არსებულ ნაშთებზე მოდიფიცირებულია.

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ შპს გიანთი ლოჯისტიკისგან“ ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, გარდა ამისა, შევასრულეთ ბასს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძველის შესაქმნელად.

სხვა გარემოებათა ამსახველი აზრები

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არის პირველი ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად („ფას“). კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საწყისი ნაშთები და შესადრისი მონაცემები არ იყო აღუდირებული წინა პერიოდებში, რის გამოც ჩვენ ჩავატარეთ ალტერნატიული პროცედურები, როგორც ეს განსაზღვრულია აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით პირველი წლის აუდიტის გარიგების დადების დროს.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვვგვაძვთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამოხმულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავეყრდნოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვეთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ, ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

27 სექტემბერი 2018 წელი

არესემ საქართველო

მმართველი პარტნიორი: გიორგი კვინიკაძე

RSM Georgia



შპს „გიანთი ლოჯისტიკა“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

		2017	2016
	შენიშვნა	ლარი	ლარი
შემოსავლები	3	22,239,834	37,807,464
გაწეული სამედიცინო მომსახურების დანახარჯი	4	(15,465,156)	(27,294,355)
საერთო მოგება		6,774,678	10,513,109
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	5	(4,858,132)	(4,451,352)
სხვა შემოსავლები	6	165,474	12,798
სხვა ხარჯები	7	(162,268)	(295,931)
საოპერაციო მოგება		1,919,752	5,778,624
საპროცენტო შემოსავლები/(ხარჯები)		7,913	(32,662)
ძირითადი საშუალების გაუფასურება	9	(2,024,901)	-
წმინდა მოგება/(ზარალი) სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	17	(258,597)	810,563
მოგება დაბეგვრამდე		(355,833)	6,556,525
მიმდინარე მოგების გადასახადი	8	-	(721,522)
წლის მოგება		(355,833)	5,835,003
სხვა სრული შემოსავალი			
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი		(355,833)	5,835,003

დავით ტულუში

გენერალური დირექტორი

მერაბ შანშაშვილი

ფინანსური მენეჯერი

შპს „გიანთი ლოჯისტიკა“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

		31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	1 იანვარი 2016
შენიშვნა	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	9	7,210,002	8,691,584	6,027,161
არამატერიალური აქტივები	10	6,508	1,248	1,369
				-
მთლიანი გრძელვადიანი აქტივები		7,216,510	8,692,832	6,028,530
მიმდინარე აქტივები				
დებიტორული დავალიანება	13	7,528,299	6,872,925	9,665,707
სასაქონლო მატერიალური მარაგები	11	416,270	446,188	395,078
გადახდილი ავანსები	12	204,705	177,985	177,985
საგადასახადო აქტივი		524,259	1,094,435	-
ფული და ფულის ექვივალენტები	14	1,852,261	2,430,765	1,954,022
მთლიანი მიმდინარე აქტივები		10,525,794	11,022,298	12,192,792
მთლიანი აქტივები		17,742,304	19,715,130	18,221,322
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	15	114,880	114,880	114,880
გაუნაწილებელი მოგება/(დაგროვილი ზარალი)		16,935,739	18,991,305	14,090,615
სულ აქტივები		17,050,619	19,106,185	14,205,495
გრძელვადიანი აქტივები				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		-	-	702,428
მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-	702,428
მიმდინარე ვალდებულებები				
კრედიტორული დავალიანება	16	691,685	608,945	1,904,506
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები		-	-	484,711
საგადასახადო ვალდებულებები		-	-	924,182
მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები		691,685	608,945	3,313,399
სულ ვალდებულებები		691,685	608,945	4,015,827
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		17,742,304	19,715,130	18,221,322

დავით ტუღუში

გენერალური დირექტორი

მერაბ შანშაშვილი

ფინანსური მენეჯერი

შპს „გიანთი ლოჯისტიკა“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება


2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

		საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
	შენიშვნა	ლარი	ლარი	ლარი
ნაშთი 2016 წლის 01 იანვრისთვის	15	114,880	14,090,615	14,205,495
წლის მოგება			5,835,003	5,835,003
გადახდილი დივიდენდი			(934,313)	(934,313)
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრისთვის	15	114,880	18,991,305	19,106,185
წლის მოგება			(355,833)	(355,833)
გადახდილი დივიდენდი			(1,699,733)	(1,699,733)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	15	114,880	16,935,739	17,050,619


 დავით ტულუშვი
 გენერალური დირექტორი


 მერაბ მამაშვილი
 ფინანსური მენეჯერი

შპს „გეანთი ლოჯისტიკის“

2017 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის

ანგარიშგება

		2017	2016
	შენიშვნა	ლარი	ლარი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		(355,833)	6,556,525
კორექტირებები:			
ძირითადი საშუალებების ცვეთა	9	754,981	634,317
ძირითადი საშუალების გაუფასურება	9	2,024,901	-
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	10	-	204
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	9	17,431	186,721
საპროცენტო ხარჯი/შემოსავალი		(7,913)	32,662
ცვლილება საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:			
კლება /(ზრდა) დებიტორულ დავალიანებაში	13	(655,374)	2,792,782
კლება /(ზრდა) გადახდილ ავანსებში	12	(26,720)	-
კლება /(ზრდა) სასაქონლო მატერიალურ მარაგებში	11	29,918	(51,110)
კლება /(ზრდა) საგადასახადო აქტივებში		570,176	(1,094,435)
ზრდა / (კლება) კრედიტორულ დავალიანებაში	16	82,740	(1,295,561)
ზრდა / (კლება) საგადასახადო ვალდებულებებში		-	(924,182)
საოპერაციო საქმიანობიდან გენერირებული ფულადი სახსრები		2,434,307	6,837,923
გადახდილი პროცენტი		-	(60,546)
მიღებული პროცენტები		7,913	27,884
გადახდილი მოგების გადასახადი	8	-	(721,522)
საოპერაციო საქმიანობიდან გენერირებული ფულადი სახსრები		2,442,220	6,083,739
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები			
ძირითადი საშუალებების შეძენა	9	(1,396,099)	(3,485,462)
არამატერიალური აქტივების შეძენა	10	(5,260)	(82)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	9	80,368	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(1,320,991)	(3,485,544)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები			
წმინდა (კლება)/ ზრდა სასესხო ვალდებულებების		-	(1,187,139)
გადახდილი დივიდენდი	15	(1,699,733)	(934,313)
ფინანსური საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(1,699,733)	(2,121,452)
ცვლილება ფული და ფულის ექვივალენტებში			
ფული და ფულის ექვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით	14	2,430,765	1,954,022
წმინდა ზრდა/(კლება) წლის განმავლობაში		(578,504)	476,743
31 დეკემბრის მდგომარეობით	14	1,852,261	2,430,765

დავით ტულუში

გენერალური დირექტორი

მერაბ შანშავილი

ფინანსური მენეჯერი

შპს „გიანთი ლოჯისტიკა“

2017 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
ქართულ ლარში

1 ორგანიზაციის საქმიანობა

შპს "გიანთი ლოჯისტიკა" (ს/კ 204574503) (შემდგომში „დედა კომპანია“) არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. დედა კომპანია დაფუძნდა 2009 წლის 23 ოქტომბერს. მისი იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, გულიას მოედანი, გვარდ.სამმ.მ/ტ., ნაკვეთ. 4/2, სართ. 3.

დედა კომპანიას აქვს რეგიონალური ოფისები ფოთში, ქუთაისში, ზესტაფონში და ბათუმში.

დედა კომპანია ახორციელებს საგზაო, სარკინიგზო, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტირებას. ასევე დედა კომპანიის საქმიანობა მოიცავს ჰიდრაულიკური დომკრატებითა და სასრიალო სისტემებით მიმღე წონიანი ტვირთების დაცლა,დატვირთვა და ფუნდამენტზე მოთავსება, საპორტო და საბაჟო-საბროკერო მომსახურება.

დედა კომპანიაში მფლობელებს შორის წილები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
დავით ტულუში (პ/ნ 42001005442)	50%	50%
გიორგი იდუკაშვილი (პ/ნ 01024012778)	50%	50%
სულ	100%	100%

დედა კომპანია აკონტროლებს შემდეგ შვილობილ კომპანიებს:

შვილობილი	სარეგისტრაციო კოდი	კუთვნილი წილი %	ქვეყანა	დაარსების თარიღი	ინდუსტრია
შპს გიანთი ქონსთრაქშენ	405176900	100%	საქართველო	18 ნოემბერი, 2016	მშენებლობა
შპს გიანთი მოტორს	405241484	100%	საქართველო	30 ნოემბერი, 2017	ავტო-ტექ მომსახურება

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) თანახმად, რომლებიც ძალაშია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის ორგანიზაციის მიერ მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მოსამზადებლად პირველად მოხდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება. შესაბამისად, ორგანიზაციამ მოამზადა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ფასს-ის საფუძველზე, რომელიც მოქმედებს 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული და შემდგომ პერიოდებზე. ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მომზადების დროს, ჯგუფმა საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მოამზადა 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რაც არის ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლის თარიღი. 21-ე განმარტებით შენიშვნაში ახსნილია 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების გადაანგარიშებაში გამოყენებული ძირითადი კორექტირებები.

შპს „გიანთი ლოჯისტიკა“

2017 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის, კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების, კონსოლიდირებულ ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს. შემოსავლები და ხარჯები, სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების გამოკლებით, აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. სხვა სრული შემოსავალი აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და მოიცავს შემოსავლების და ხარჯების იმ პუნქტებს (რეკლასიფიცირების კორექტირებების ჩათვლით), რომლებიც არ არის აღიარებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც ეს დადგენილი ან დაშვებულია ფასს-ის თანახმად. რეკლასიფიცირების კორექტირება არის რაოდენობა, რომელიც მიმდინარე პერიოდში რეკლასიფიცირებულია მოგების ან ზარალის სახით და რომელიც მიმდინარე ან წინა პერიოდებში აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავლებში. ჯგუფის მფლობელებთან განხორციელებული ტრანზაქციები აღიარებულია კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში.

ჯგუფი კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს ფუნქციის მიხედვით ხარჯების კლასიფიკაციას. ჯგუფის შეხედულებით, ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით.

ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“), რომელიც ჯგუფის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს.

ქვემოთ მოყვანილი სააღრიცხვო პოლიტიკა ჯგუფმა თანმიმდევრულად გამოიყენა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ყველა პერიოდთან მიმართებაში.

კონსოლიდაციის საფუძვლები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებებს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შვილობილი არის კომპანია რომელიც კონტროლდება დამფუძნებელი კომპანიის მიერ. კონტროლი ხორციელდება როდესაც დამფუძნებელს პირდაპირ ან ირიბად შეუძლია გავლენა მოახდინოს კომპანიის ოპერაციებზე. შვილობილი კომპანიის ფინანსური მონაცემები ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში იმ თარიღის შემდეგ როდესაც მშობელ კომპანიას გაუჩნდა კონტროლის უფლება და წყდება იმ დღეს, როდესაც დედა კომპანია კარგავს ამ კონტროლს. ყველა შიდა-ჯგუფური ტრანზაქცია და ნაშთი ამ კომპანიებს შორის იქვეთება მთლიანად.

შემოსავლები

შემოსავლების და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით.

ჯგუფი შემოსავალს მომსახურების გაწევიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისათვის მომსახურების შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს მომსახურების დასასრულებლად გასაწევი ხარჯები.

სატრანსპორტო მომსახურების დანახარჯი

სატრანსპორტო მომსახურების დანახარჯი არის ის ხარჯი რომელიც პირდაპირ არის დაკავშირებული ტრანსპორტირებით მიღებული შემოსავლის გამომუშავებასთან.

აღნიშნული მომსახურების დანახარჯები მოიცავს პერსონალის პირდაპირ და არაპირდაპირ სახელფასო ანაზღაურებას, საწვავის, მარაგების, საბაჟო და სხვა მოსაკრებლების ხარჯებს.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება

საშუალო შეწონილი მეთოდი. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან და მის არსებულ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

შპს „გიანთი ლოჯისტიკა“

2017 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, ასევე აქტივის დემონტაჟის და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას. იმ შემთხვევაში თუ ძირითადი საშუალების ჯგუფი მოიცავს კომპონენტებს რომელთა გამოყენების ვადა ექსპლუატაციის პერიოდი განსხვავდება ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე როგორც ძირითადი საშუალების ცალკეული კომპონენტები.

ცვეთა

ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვის დაანგარიშება ხდება მათი დამონტაჟებისა და გამოყენების მზადყოფნაში მოსვლის დღიდან. რაც შეეხება ჯგუფის მიერ აშენებულ აქტივებს, მათი ცვეთის დაანგარიშება ხდება აქტივების საბოლოო მდგომარეობამდე მიყვანის და მათი გამოყენებისთვის მზაობის დღიდან.

ცვეთა აისახება მოგება ან ზარალში, შემცირებადი ნაშთის გამოყენებით, ძირითადი საშუალებებისათვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განთავსებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას. იჯარით აღებულ აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის ან იჯარის ხანგრძლივობის მიხედვით უმცირესით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც გონივრულ ფარგლებში სარწმუნოა, რომ საკუთრების უფლების მოპოვება ჯგუფის მიერ მოხდება იჯარით აღებულ აქტივზე. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

ცვეთის დარიცხვა წარმოებს შემცირებადი ნაშთის მეთოდით, შესაბამის წლიური განაკვეთით:

- შენობა - ნაგებობები 5%;
- ელექტრო მოწყობილობები და სხვა 20%;
- საოფისე ავეჯი და მოწყობილობები 20%;
- სატრანსპორტო საშუალებები; 20%.

აღიარების შეწყვეტა

ძირითადი საშუალების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებას ან ზარალში.

არამატერიალური აქტივები

აღიარება და შეფასება

შეძენილი არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს მისი შესყიდვის ფასს, მათ შორის საიმპორტო ბაჟს და უკანდაუბრუნებად გადასახადებს, სავაჭრო დისკონტების და ფასდაკლებების დაქვითვის შემდეგ და აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო ნებისმიერ სხვა პირდაპირ ხარჯს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივები ტარდება არანაკლებ დაგროვილი ამორტიზაციისთვის. ჯგუფში წარმოშობილი არამატერიალური აქტივები, კაპიტალიზებული განვითარების ხარჯების გამოკლებით, არ არის კაპიტალიზირებული და მასთან დაკავშირებული დანახარჯები აისახება მოგება ან ზარალში იმ პერიოდის განმავლობაში, როცა გაწეულ იქნა ეს დანახარჯები.

განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია წარმოებს იმგვარად, რომ მოხდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

ამორტიზაცია

არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია აისახება მოგება ან ზარალში, შემცირებადი ნაშთის გამოყენებით, ძირითადი საშუალებებისათვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

არამატერიალური აქტივების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

შპს „გეანთი ლოჯისტიკა“

2017 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

- პროგრამული უზრინველყოფა 5 წლამდე;
- სხვა არამატერიალური აქტივები 5 წლამდე;

განუსაზღვრელი სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია არ წარმოებს.

აღიარების შეწყვეტა

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვაობა გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირებულია როგორც კაპიტალი. როდესაც საწესდებო კაპიტალი არაფულადი შენატანით იზრდება, აღნიშნული შენატანი აღიარდება როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა აღნიშნული დანახარჯი.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ჯგუფის ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის. ტრანზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები ასახულია ტრანზაქციის თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში გამოხატული და სამართლიანი ღირებულებით ასახული არაფულადი პუნქტები (მაგ: გასაყიდად არსებული წილობრივი ინსტრუმენტები) კონვერტაციას ექვემდებარება იმ დღის გაცვლითი კურსის გამოყენებით, როდესაც მოხდა სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა.

საქართველოს ეროვნული ბანკის
ოფიციალური გაცვლითი კურსი

	USD	EUR	GBP
გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.5922	3.1044	3.5005
გაცვლითი კურსი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.6468	2.7940	3.2579
საშუალო გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის	2.5095	2.8322	3.2315
საშუალო გაცვლითი კურსი 2016 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	2.3667	2.6172	3.2051

შპს „გეიანთი ლოჯისტიკა“

2017 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადებს. მიმდინარე გადასახადები აღიარდება მოგება ან ზარალში გარდა გადასახადების იმ ნაწილისა, რომელიც მიეკუთვნება ისეთ მუხლებს, რომელიც აღიარდება პირდაპირ კაპიტალში ან სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

მიმდინარე გადასახადი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების ან ზარალის საფუძველზე წარმოქმნილი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება ან მოთხოვნა, იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის, აგრეთვე, წინა წლის საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერი დაზუსტება.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2019 წლის 1 იანვრიდან.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან (CIT) გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. მთავარ საგადასახადო ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას (DE), როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა განაწილებულ მოგებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან მოგების განაწილების მიმდებარე მოგების გადასახადის მიზნებისთვის. დაბეგვრის ობიექტი ასევე მოიცავს ხარჯებს ან სხვა გადახდებს, რომლებიც არ უკავშირდება პირის ეკონომიკურ საქმიანობას, უფასო მიწოდებას და ზღვარ გადაცილებულ წარმომადგენლობით ხარჯებს.

დივიდენდები

დივიდენდების კაპიტალში აღიარება ხორციელდება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა. როგორც წესი, დივიდენდები ვალდებულებებად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მტკიცდება მათი განაწილება დირექტორთა საბჭოს საერთო კრებაზე. შუალედური დივიდენდები აღიარდება გადახდისთანავე.

ფინანსური ინსტრუმენტები-შეფასების ძირითადი საფუძვლები

მათი კლასიფიკაციიდან გამომდინარე, ფინანსური ინსტრუმენტები წარმოდგენილია სამართლიანი ღირებულებით, თვითღირებულებით ან ამორტიზირებული ღირებულებით, როგორც ეს აღწერილია ქვევით.

სამართლიანი ღირებულება არის ფასი რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვით ან გადაიხდება საიმედოდ რომ მოხდეს ვალდებულების დაფარვა კანონიერი გარიგების საშუალებით ბაზრის მონაწილეებს შორის სამართლიანი ღირებულების დადგენის თარიღისას. სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის აქტიურ ბაზარზე კვოტირებული ფასი. აქტიური ბაზარი არის ბაზარი, სადაც აქტივისა და ვალდებულებებთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისი სიხშირით და მოცულობით ხდება საიმედოდ რომ უზრუნველყოს ფასების შესახებ მუდმივი ინფორმაცია.

ისტორიული ღირებულება არის გადახდილი ფულის ან ფულადი ექვივალენტების თანხა ან შემენის დროს აქტივის შესაძენად გაცემული სხვა ანაზღაურების სამართლიანი ღირებულება და მოიცავს ტრანზაქციის ხარჯებს. თვითღირებულებით გაანგარიშება გამოიყენება მხოლოდ იმ წილობრივ ინსტრუმენტებში განხორციელებულ ინვესტიციების მიმართ, რომელთაც არ აქვთ კვოტირებული საბაზრო ფასი და რომელთა სამართლიანი ღირებულების სარწმუნოდ გაანგარიშება შეუძლებელია.

ტრანზაქციის ღირებულება არის ის დამატებითი ხარჯები, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან განკარგვას. დამატებითი ხარჯი არის ხარჯი, რომლის გაღებაც არ მოხდებოდა, ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო და მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის, თანამშრომლებისთვის, რომლებიც მოქმედებენ გაყიდვების აგენტების სახით), კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის და დილერებისთვის გადახდილ ჰონორარს და საკომისიოებს, სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოების და საფონდო ბირჟების მოსაკრებლებს, და გასხვების გადასახადებს და მოსაკრებლებს. ტრანზაქციის ღირებულება არ მოიცავს სავალო პრემიებს ან ფასდაკლებებს, დაფინანსების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან ფლობის ხარჯებს.

შპს „გიანთი ლოჯისტიკა“

2017 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

ამორტიზირებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება თავდაპირველი აღიარებისას, მინუს ნებისმიერი ძირითადი გადახდის თანხები, პლუს დარიცხული პროცენტი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდში განაწილების მეთოდი, საბალანსო ღირებულებაზე მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთის უზრუნველსაყოფად (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი). ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ამცირებს სავარაუდო სამომავლო ნაღდი ანგარიშსწორების ან ფულად შემოსულობების თანხას (მომავალი საკრედიტო დანაკარგების გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო ვადაში ან უფრო მოკლე პერიოდში ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება. სავაჭროდ ფლობილი ფასიანი ქაღალდები, დერევატივები და სხვა ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით, თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით. სხვა დანარჩენი ფინანსური ინსტრუმენტები აღიარდება სამართლიანი ღირებულებისა და ტრანზაქციის ხარჯების ჯამით. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველ აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის არსებობს სხვაობა, რომლის დამტკიცება შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტში სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო გარიგებების საფუძველზე ან ისეთი შეფასების მეთოდით, რომლის მონაცემებიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მაჩვენებლებს.

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების გაუფასურება. გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოგება-ზარალში, როდესაც იგი წარმოიქმნება ერთი ან მეტი შემთხვევის დადგომის შედეგად (“ზარალის შემთხვევები”), რომლებიც მოხდა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ და რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების ოდენობაზე და დაფარვის დროზე, და რომლის საიმედოდ შეფასებაც შესაძლებელია. თუ განსაზღვრავს, რომ არ არსებობს არანაირი ობიექტური საფუძველი იმისა, რომ მოხდა გაუფასურება (მნიშვნელოვანი ან უმნიშვნელო) ინდივიდუალურად შეფასებულ ფინანსურ აქტივზე, ის აქტივს მიაკუთვნებს მსგავსი საკრედიტო რისკ-მახასიათებლების მქონე ფინანსური აქტივების ჯგუფს და გაუფასურების თვალსაზრისით ერთობლივად აფასებს მათ. ძირითადი ფაქტორები, რომელთა მიხედვითაც განსაზღვრავს, არის თუ არა ფინანსური აქტივი გაუფასურებული, არის მისი ვადაგადაცილების სტატუსი და შესაბამისი უზრუნველყოფის რეალიზებადობა, თუ ასეთი არსებობს. ქვემოთ მითითებული სხვა ძირითადი კრიტერიუმები ასევე გამოიყენება იმის განსაზღვრისთვის, არსებობს თუ არა ობიექტური საფუძველი იმისა, რომ მოხდა გაუფასურება:

- შესატანი დაგვიანებულია და დაგვიანებული გადახდა არ არის გამოწვეული ანგარიშსწორების სისტემებით გამოწვეული დაყოვნების გამო;
- მსესხებელი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს, რაც დასტურდება მსესხებელის ფინანსური მდგომარეობის შესახებ კომპანიის მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან;
- მსესხებელი განიხილავს გაკოტრებას ან ფინანსურ რეორგანიზაციას;
- არსებობს უარყოფითი ცვლილება მსესხებელის გადახდის სტატუსში ადგილობრივი ეკონომიკური პირობების შედეგად, რომლებიც გავლენას ახდენენ მსესხებელზე; ან
- უზრუნველყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება ბაზრის გაუარესებული მდგომარეობის შედეგად.

გაუფასურების ერთობლივად შეფასების მიზნით, ფინანსური აქტივები დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივებად. ეს მახასიათებლები მოიცავს აქტივთა ჯგუფების მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების შეფასებას, რომელიც აჩვენებს მსესხებლების უნარს ყველა ვადადამდგარი თანხის დაფარვა განახორციელონ შეფასებული აქტივების სახელშეკრულებო პირობების შესაბამისად.

მომავალი ფულადი ნაკადები იმ ფინანსურ აქტივებში, რომელთა გაუფასურებაზე შეფასებაც ერთობლივად ხორციელდება, იანგარიშება ამ აქტივების სახელშეკრულებო პირობების შედეგად მისაღები ფულადი სახსრების და ხელმძღვანელობის წარსული გამოცდილების საფუძველზე გაკეთებული შეფასებით, ზარალის შემთხვევის შედეგად თუ რა ოდენობა სესხებისა მოხვდება ვადაგადაცილებაში და რამდენად წარმატებულად მოხდება ვადაგადაცილებული ოდენობის დაფარვა. წარსულის გამოცდილება კორექტირდება მიმდინარე დაკვირვებადი

შპს „გიანთი ლოჯისტიკა“

2017 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

მონაცემების საფუძველზე იმ არსებული პირობების შედეგების ასახვის მიზნით, რომლებმაც გავლენა არ მოახდინა გასულ პერიოდებზე და წარსული პირობების იმ შედეგების გამოსარიცხად, რომლებიც ამჟამად არ არსებობს.

თუ ამორტიზირებული ღირებულებით ფლობილი გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობები გადაიხედება ან სხვაგვარად შეიცვლება მსესხებლის ან ემიტენტის ფინანსური სირთულეების გამო, გაუფასურება შეფასდება პირობების შეცვლამდე გამოყენებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

გაუფასურების ზარალის აღიარება ყოველთვის ხორციელდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით აქტივის საბალანსო ღირებულების მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (რომლებშიც არ შედის მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგები, რომლებიც არ დამდგარა) მიმდინარე ღირებულებამდე ჩამოწერით, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის საანგარიშო მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება ასახავს დასაკუთრებიდან მიღებულ ფულად ნაკადებს, მინუს უზრუნველყოფის მიღებისა და გაყიდვის ხარჯები, მიუხედავად იმისა დასაკუთრება მოსალოდნელია თუ არა.

თუ რომელიმე მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა და შემცირება ობიექტურად დაკავშირებულია იმ შემთხვევასთან, რომელიც მოხდა გაუფასურების აღიარების შემდეგ (როგორცაა გაუმჯობესება დებიტორის საკრედიტო რეიტინგში), მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი გაუქმდება რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, რომელიც ასახავს ჰპოვებს მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალში.

ამოუღებელი (უიმედო) აქტივები ჩამოიწერება შესაბამის გაუფასურების ანარიცხის ხარჯზე – ამგვარი თანხები ჩამოიწერება აქტივების დაბრუნების ყველა აუცილებელი პროცედურის დასრულების და ზარალის თანხის განსაზღვრის შემდეგ.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება. ორგანიზაცია ფინანსური აქტივის აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა: (ა) აქტივები გადახდილია ან უფლებები აღნიშნული აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე სხვაგვარად ამოიწურა ან (ბ) კომპანიამ გადასცა უფლებები ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე ან გააფორმა კვალიფიციური გადაცემის ხელშეკრულება და ამასთან ერთად (i) განახორციელა აქტივების საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის გადაცემა ან (ii) საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი არც გადაუცია, არც შეუნარჩუნებია, მაგრამ კონტროლი არ შეუნარჩუნებია. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაკისრების გარეშე არადაკავშირებულ მესამე მხარისთვის აქტივის მთლიანად მიყიდვის პრაქტიკული უნარი.

ახალი ან შეცვლილი სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება

ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

ჯგუფს არ გამოუყენებია ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული 2017 წლის 1 იანვარს დაწყებული ფისკალური წლისთვის.

ხელმძღვანელობის მოლოდინით, ახალი სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ძალაში შესვლის შემდეგ. ჯგუფმა შეაფასა, შესაძლებლობისამებრ, ყველა ამ ახალი სტანდარტისა და ცვლილების შესაძლო გავლენა, რომელიც ძალაში შევა მომავალი პერიოდებისთვის.

ბასს 28-ში შესული ცვლილებები (2014-2016 პერიოდის ფასს სტანდარტების ყოველწლიური ცვლილებები, გამოცემულია 2016 წლის დეკემბერში) - ცვლილებები, რომლებიც ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან ან/და შემდგომ პერიოდებში (ნებადართულია ადრეული გამოყენება), აზუსტებს:

მეკავშირე საწარმოში განხორციელებული ინვესტიციების, ასევე ინვესტიციების ერთობლივი საქმიანობაში, რომელიც განხორციელებულია ვენჩურული კაპიტალის მექანე, საერთო ფონდების, ან სხვა მსგავსი ტიპის ორგანიზაციების მიერ, უფლება აქვთ თითოეული ზემოთმოხსენებული ინვესტიცია თავდაპირველი აღიარებისას აღიაროს სამართლიანი ღირებულებით მოგება ზარალში ასახვით. ცვლილებებს არ მოუხდენია გავლენა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბასს 40-ში შესული ცვლილებები (გამოცემულია 2016 წლის დეკემბერში) - ცვლილებები, რომლებიც ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან ან/და პერიოდის შემდეგ (ნებადართულია ადრეული გამოყენება),

შპს „გიანთი ლოჯისტიკა“

2017 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

განმარტავს, რომ საინვესტიციო ქონების კლასიფიკაცია სხვა მუხლებში, ან პირიქით სხვა მუხლებიდან საინვესტიციო ქონებაში კლასიფიკაცია მხოლოდ მაშინ უნდა განხორციელდეს (მათ შორის იმ აქტივებისა რომლებიც არის მშენებლობის და განვითარების სტადიაში) როდესაც არსებობს მტკიცებულება იმისა, რომ ქონების გამოყენების შინაარსის ცვლილება მოხდა. ცვლილებებს არ მოუხდენია გავლენა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ფასს-2 კლასიფიკაცია და შეფასება წილობრივი გადახდების ტრანზაქციებზე (გამოცემებული 2016 წლის ივნისში). ცვლილებები, ეხება 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებულ და შემდგომ პერიოდებს, რომელიც განმარტავს ვესტირების და არავესტირების ეფექტებს აქციაზე დაფუძნებული გადახდის(ადგ) ნაღდი ფულით ანგარიშსწორებაზე, (ადგ)-ს აღრიცხვისას ნეტო საგადასახადო თვისებაზე საშემოსავლო გადასახადის ვალდებულების თვალსაზრისით და (ადგ)-ს პირობების მოდიფიკაციაზე, რომელიც უცვლის ტრანზაქციას კლასიფიკაციას ნაღდი ფულზე დაფუძნებულიდან კაპიტალზე დაფუძნებულზე. მოსალოდნელი არაა, რომ ზემოთაღნიშნულს მატერიალური ეფექტი ექნება ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ფასს-4-ში სახელწოდებით ფასს-9 ფინანსური ინსტრუმენტების გავრცელება ფასს-4 სადაზღვევო კონტრაქტებზე (გამოცემებული 2016 წლის სექტემბერში) ცვლილებების მიხედვით კომპანიები რომლებიც უშვებენ სადაზღვევო კონტრაქტებს აქვთ უფლება შემოსულობა ან ზარალი აღიარონ - სხვა სრულ შემოსავალში და არა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, მერყეობა რომელიც შეიძლება გამოიწვიოს ფასს-9-ის გავრცობამ ფასს-4-ზე პროექტდება კომიტეტის მიერ. ასევე კომპანიებს, რომელთა აქტივობები განსაკუთრებულადაა დაკავშირებული სადაზღვევო საქმიანობასთან დროებითი გამონაკლისის სახით შეეძლება არ გადავიდნენ ფასს-9-ზე (2021 წლამდე) და ამგვარად დარჩნენ ბასს-39-ზე. ჯგუფს არ გამოუშვია სადაზღვევო კონტრაქტები, შესაბამისად ცვლილებებს არ ექნება ეფექტი ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ფასს 10 და ბასს 28-ში „ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების შეძენა/ გაყიდვა“ (გამოცემა 2014 წლის სექტემბერში) - ცვლილებები, ეხება ორ სტანდარტს შორის არსებულ შეუთავსებლობას და განმარტავს, რომ მოგება ან ზარალი სრულად უნდა იქნას აღიარებული, როდესაც ტრანზაქციაში ჩართულია ბიზნესი, და ნაწილობრივად, თუ მასში ჩართულია აქტივები, რომლებიც არ წარმოადგენს ბიზნესს. ამ ცვლილების ამოქმედების დღე თავდაპირველად იყო 2016 წლის 1 იანვარი, მაგრამ გადაიდო განუსაზღვრელი ვადით, თუმცა მისი ადრეული გამოყენება ჯერ კიდევ ნებადართულია. აღნიშნულ ცვლილებას არ ექნება გავლენა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“(გამოცემა 2014 წლის ივნისში) – ეს სტანდარტი ჩაანაცვლებს ბასს 39-ს (და ფასს 9 სტანდარტის ყველა წინა ვერსიას) 2018 წლის 1 იანვარს დაწყებულ და შემდგომ პერიოდებს. იგი შეიცავს მოთხოვნებს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაციისა და შეფასებისთვის, გაუფასურების, ჰეჯირების აღრიცხვის და აღიარების შეწყვეტისათვის.

ფასს 9 მოითხოვს, რომ ყველა აღიარებული ფინანსური აქტივი შეფასდეს ამორტიზირებული ან სამართლიანი ღირებულებით (მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან სხვა სრულ შემოსავალში) იმის მიხედვით, თუ რომელ ბიზნეს მოდელში ექცევა ისინი და როგორია მათი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

ფინანსური ვალდებულებებისთვის, ფასს 9-ის ყველა მნიშვნელოვანი გავლენა დაკავშირებულია იმ შემთხვევასთან, როდესაც შერჩეულია სამართლიანი ღირებულების მეთოდი: სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულების სამართლიანი ღირებულების ცვლილება, რომელიც უკავშირდებოდა აღნიშნული ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებას აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში (და არა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში), გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღნიშნული იწვევს სააღრიცხვო შეუსაბამობას.

ფინანსური აქტივების გაუფასურებისთვის ფასს 9 უზრუნველყოფს „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის“ მოდელი, რომელიც დამყარებულია მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების ცნებაზე ხელშეკრულების ამოქმედებისთანავე; საკრედიტო ზარალის აღიარებამდე აღარ იქნება გაუფასურების ობიექტური მიზეზის არსებობის საჭიროება.

ჰეჯირების აღრიცხვისთვის, ფასს 9 შეიცავს არსებით შესწორებებს, რომელთა თანახმად ფინანსურ ანგარიშგებებში უკეთ აისახება რისკის მართვის საქმიანობები, როდესაც ხდება ფინანსური და არაფინანსური რისკის ჰეჯირება.

აღიარების შეწყვეტის დებულებები თითქმის უცვლელად არის გადმოტანილი ბასს 39-იდან.

ხელმძღვანელობის მოლოდინით, ფასს 9 გამოყენებული იქნება ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ეს სავალდებულო გახდება და ახალი სტანდარტის გამოყენებას სავარაუდოდ გავლენა ექნება ჯგუფის ფინანსურ აქტივებთან და ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებით აღრიცხულ მონაცემებზე. ამ ეტაპზე ჯგუფი არის შეფასების პროცესში თუ რა გავლენას მოახდენს ფასს 9-ზე გადასვლა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობაზე, თუმცა, არ არის მიზანშეწონილი აღნიშნული გავლენის მასშტაბის შეფასება, სანამ არ დასრულდება დეტალური მიმოხილვა.

შპს „გიანთი ლოჯისტიკა“

2017 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

ფასს 15 „შემოსავლები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ (გამოიცა 2014 წლის მაისში) - ახალი სტანდარტი, რომელიც ამოქმედდება 2018 წლის 1 იანვარიდან დაწყებულ და შემდგომ პერიოდებზე, ჩაანაცვლებს ბასს 11, ბასს 18 და მათ ინტერპრეტაციებს (იმკ 31 და ფასკ 13, 15 და 18). იგი აწესებს შემოსავლების აღიარების ერთიან და ამომწურავ სისტემას, რომელიც მუდმივად იქნება გამოყენებული სხვადასხვა ტრანზაქციებთან, ინდუსტრიებთან და საფონდო ბაზრებთან მიმართებაში ძირითადი პრინციპით (ხუთი ეტაპის მოდელზე დაყრდნობით, რომელიც იმოქმედებს მომხმარებლებთან გაფორმებულ ყველა ხელშეკრულებაზე), გაუმჯობესებული განმარტებით, და ახალი ან გაუმჯობესებული ინსტრუქციებით (მაგ: როდის ხდება შემოსავლის აღიარება, ცვალებადი ანაზღაურების აღრიცხვა, ხელშეკრულების შესრულების და მიღების ხარჯები, და სხვ.). დირექტორების მოლოდინით, ფასს 15 გამოყენებული იქნება ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ეს სავალდებულო გახდება და ახალი სტანდარტის გამოყენებას სავარაუდოდ მნიშვნელოვანი გავლენა არ ექნება ჯგუფის შემოსავლებთან დაკავშირებით აღრიცხულ მონაცემებზე. თუმცა, არ არის მიზანშეწონილი აღნიშნული გავლენის მასშტაბის შეფასება, სანამ არ შესრულდება დეტალური მიმოხილვა.

ფასს 16 იჯარა (გამოშვებული 2016 წლის იანვარში) ახალი სტანდარტი ამოქმედდება 2019 წლის 1 იანვრიდან, რომელიც შეცვლის ბასს-17 და მის განმარტებებს. მნიშვნელოვანია ის, რომ თითქმის ყველა იჯარის სახეობა, ბალანსში მოექცევა ერთი მოდელის ქვეშ (გარდა 12 თვეზე ნაკლები და დაბალ-ღირებულებიანი იჯარებისა). ეს ცვლილებები მოახდენს ფინანსური და საოპერაციო იჯარის განსხვავების ელიმინირებას. თუმცა მეიჯარის აღრიცხვის მეთოდი უმეტესწილად უცვლელი დარჩება და ამ შემთხვევაში ფინანსური და საოპერაციო იჯარის განსხვავება შენარჩუნებული იქნება. დირექტორების აზრით ფასს 16-ს გამოიყენებს ჯგუფი, მას შემდეგ რაც ის გახდება სავალდებულო. თუმცა, არ არის მიზანშეწონილი აღნიშნული გავლენის მასშტაბის შეფასება, სანამ არ შესრულდება დეტალური მიმოხილვა.

ფასს 17 დაზღვევის ხელშეკრულებები (გამოცემულია 2017 წლის მაისში) - სტანდარტი, რომელიც შეცვლის ფასს 4-ს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვრიდან ან/და შემდგომ პერიოდებში (ადრეული გამოყენება დაშვებულია მხოლოდ მაშინ როდესაც საწარმო იყენებს ფასს 9-ს და ფასს 15-ს) რომლის თანახმადაც, სადაზღვეო ვალდებულება განისაზღვრება მიმდინარე შესრულების ღირებულებით და წარმოადგენს შედარებით სრულ საზომ და წარმოსადგენ მიდგომას ყველა ტიპის სადაზღვეო გარიგებისთვის. ზემოხსენებული მოთხოვნები შექმნილია იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას სადაზღვეო გარიგებების თანმიმდევრული, პრინციპებზე დაფუძნებული ბუღალტრული აღრიცხვა, რაც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელს საშუალებას მისცემს შეაფასოს ეფექტი, რომელიც აქვთ სადაზღვეო ხელშეკრულებებს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე, მის ფინანსურ შედეგებზე და ფულად ნაკადებზე. სტანდარტი ასევე მოითხოვს რომ იგივე პრინციპით აღირიცხოს გადაზღვევისა და დისკრეციული მონაწილეობის მახასიათებლებით გაცემული საინვესტიციო ხელშეკრულებები. გამომდინარე იქიდან, რომ ჯგუფს არ გააჩნია როგორც გამოცემული დაზღვევის ხელშეკრულებები, ასევე გადაზღვევის ხელშეკრულებები, სტანდარტს არ აქვს მოსალოდნელი ეფექტი ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შპს „გიანთი ლოჯისტიკა“

2017 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

3 შემოსავლები

	2017	2016
	ლარი	ლარი
შემოსავალი საგზაო გადაზიდვებიდან	16,169,506	23,551,302
შემოსავალი საზღვაო გადაზიდვებიდან	1,120,190	361,910
შემოსავალი სარკინიგზო გადაზიდვებიდან	2,925,721	13,205,763
შემოსავალი აგენტურული მომსახურებიდან	57,856	154,132
შემოსავალი სატერმინალო მომსახურებიდან	705,692	119,888
სხვა შემოსავალი	1,260,869	414,469
სულ შემოსავლები	22,239,834	37,807,464

4 გაწეული დანახარჯი

საგზაო გადაზიდვების ხარჯები

	2017	2016
	ლარი	ლარი
დიზელის საწვავის ხარჯი	1,739,972	4,393,617
ტრაილერით ტრანსპორტირების საფასური	3,098,091	6,004,629
დაცვა-გაცილების ხარჯი	239,705	579,324
ცვეთა და ამორტიზაცია	618,192	557,201
მივლინების ხარჯები	792,611	957,675
საზღვრის ხარჯი	777,164	779,894.69
სატერმინალო მომსახურება	2,340,888	1,609,405
სხვა	1,387,720	1,646,119
სულ	10,994,343	16,527,865

სარკინიგზო გადაზიდვების ხარჯები

	2017	2016
	ლარი	ლარი
რკინიგზით ტრანსპორტირების საფასური	2,181,145	8,905,062
სხვა	143,276	928,699
სულ	2,324,421	9,833,761
საზღვაო გადაზიდვების ხარჯები	2017	2016
	ლარი	ლარი
პორტის ხარჯი	437,100	25,476
საზღვაო ფრაქტი	347,968	99,961
სხვა	57,442	23,685

შპს „გეიანთი ლოჯისტიკა“

2017 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

სულ	842,510	149,122
------------	----------------	----------------

სატერმინალო მომსახურების ხარჯები	2017	2016
	ლარი	ლარი
სატერმინალო მომსახურება	477,859	496,795
სხვა	43,125	24,189
სულ	520,984	520,984

სხვა მომსახურებების ხარჯები	2017	2016
	ლარი	ლარი
დაცვა-გაცილების ხარჯი	239,705	74,780
ტვირთის გადატანის ხარჯი	172,216	56,212
სატერმინალო მომსახურება	290,006	72,941
მასალების ხარჯვა	-	19,088
საზღვაო ფრახტი	-	19,798
სხვა	80,971	19,804
სულ	782,898	262,623

5 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2017	2016
	ლარი	ლარი
ხელფასის ხარჯი	2,388,505	3,026,939
ძირითადი საშუალებების რემონტის ხარჯი	1,077,955	763,867
საიჯარო ხარჯი	350,818	216,850
საექვო მოთხოვნების ხარჯი	317,016	36,235
სადაზღვეო ხარჯი	162,022	156,936
პროფესიული მომსახურების ხარჯები	91,852	16,165
საწვავის ხარჯი	80,994	52,498
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	136,789	77,325
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	93,898	3,828
კომუნიკაციის ხარჯი	52,173	27,365
ოფისის ინვენტარის ხარჯი	40,603	29,716
კომუნალური ხარჯი	34,418	36,608
წარმომადგენლობითი ხარჯი	31,089	7,022
სულ	4,858,132	4,451,353

შპს „გიანთი ლოჯისტიკა“

2017 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
ქართულ ლარში

6 სხვა შემოსავლები

	2017	2016
	ლარი	ლარი
სადაზღვევო ანაზღაურება	10,315	7,466
შემოსავალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	48,810	-
შემოსავალი ჯარიმის ანაზღაურებიდან	94,884	-
სხვა შემოსავალი	11,465	5,332
სულ	165,474	12,798

7 სხვა ხარჯები

	2017	2016
	ლარი	ლარი
ქონების გადასახადი	92,890	78,830
ძირითადი საშუალებების ჩამოწერის ხარჯები	49,262	186,515
ბანკის საკომისიო ხარჯები	15,546	9,162
სამედიცინო მომსახურების ხარჯი	2,166	3,596
ჯარიმის საფასური	-	11,366
სხვა ხარჯი	2,404	6,463
სულ	162,268	295,932

8 მოგების გადასახადის ხარჯი

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც ძირითადად ეხება მოგების გადასახადით დაბეგვრას. სხვა დაბეგვრის რეჟიმებთან ერთად, ცვლილებებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი არის ის, რომ დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

	2017	2016
	ლარი	ლარი
მოგების გადასახადის ხარჯი	-	721,522
გადავადებული მოგების გადასახადი	-	-
სულ	-	721,522

გადავადებული მოგების გადასახადი

ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. საგადასახადო სისტემის ასეთი ცვლილების შემდეგ, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება მოგების განაწილების დროს არ აღიარდება ჯგუფის ბალანსზე

შპს „გიანთი ლოჯისტიკა“

2017 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

9 ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული შენობის კეთილმოწყობა	დაუმონტაჟებული ძირითადი საშუალებები	სულ
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
თვითღირებულება									
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	494,900	319,601	939,693	86,539	41,354	4,838,607	9,369	192,135	6,922,198
შემენა	61,000	386,390	233,090	19,155	11,204	714,608	2,259	2,057,755	3,485,462
გასვლა	-	-	(174,303)	(1,961)	(611)	(138,792)	(731)	-	(316,398)
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	555,900	705,991	998,480	103,733	51,947	5,414,423	10,897	2,249,890	10,091,055
შემენა	359,167	11,116	438,116	25,257	2,452	551,512	8,479		1,396,099
გასვლა	-	-	-	-	(170)	(147,145)	-	-	(147,315)
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	915,067	717,108	1,436,389	128,991	54,229	5,818,791	19,376	2,249,890	11,339,840
ცვეთა									
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	(2,946)	(99,454)	(24,723)	(8,284)	(759,168)	(462)		(895,037)
ცვეთა წლის მანძილზე	-	(27,270)	(84,603)	(14,862)	(5,955)	(501,118)	(509)	-	(634,317)
გასული ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა	-	-	62,824	1,050	220	65,695	95	-	129,884
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(30,216)	(121,234)	(38,536)	(14,019)	(1,194,591)	(876)	-	(1,399,471)
ცვეთა წლის მანძილზე	-	(40,705)	(107,658)	(18,562)	(6,863)	(580,305)	(616)	-	(754,708)
გასული ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	83	48,955	-		49,243
გაუფასურება								(2,024,901)	(2,024,901)
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(70,920)	(228,892)	(57,098)	(20,799)	(1,725,736)	(1,491)	(2,024,901)	(4,129,837)
წმინდა საბალანსო ღირებულება									
2016 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	494,900	316,655	840,239	61,816	33,070	4,079,439	8,907	-	6,027,161
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	555,900	675,776	877,039	65,198	37,927	4,219,832	10,022	-	8,691,584
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	915,067	646,187	1,207,498	71,893	33,430	4,093,054	17,885	224,989	7,210,003

შპს „გეიანთი ლოჯისტიკა“

2017 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
ქართულ ლარში

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ძირითადი საშუალებები არ არის დაგირავებული.

2017 წლის განმავლობაში, დაუმონტაჟებელ ძირითად საშუალებებზე ჯგუფის მენეჯმენტმა ჩაატარა გაუფასურების ტესტი, რის შედეგადაც დაუმონტაჟებელი ძირითადი საშუალებები გაუფასურდა 2,024,901, ლარით და მისმა ნარჩენმა ღირებულებამ შედგინა 224,989 ლარი. აღნიშნული ძირითადი საშუალება შეძენილ იქნა 2015, 2016 წლებში. აღნიშნული ძირითადი საშუალება წარმოადგენს ნავთობის გადასატუმბ დანადგარს და მის მაკომპლექტებელ მოწყობილობებს. დედა კომპანიამ აღნიშნული დანადგარი შეიძინა ნავთობ სატერმინალო მომსახურების განვითარების მიზნით, მაგრამ მისი გამოყენება ამ დანიშნულებით დღემდე ვერ მოხერხდა. ანაზღაურებადი ღირებულება შეფასდა როგორც უდუდესი ა) გამოყენებით ღირებულებასა და ბ) სამართლიანი ღირებულება შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით. დაგეგმილი ფულადი ნაკადების არარსებობის გამო ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრა, როგორც ნული. სამართლიანი ღირებულება შეფასდა მინიმალური ღირებულებით რაც შესაძლებელია ანაზღაურდეს აღნიშნული მოწყობილობის როგორც გამოუსადეგარი ნარჩენის რეალიზაციის შედეგად. აღნიშნული მიეკუთვნება სამართლიანი ღირებულების შეფასების 1 იერარქიას.

10 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები შედგება პროგრამული უზრუნველყოფისგან.

11 სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	1 იანვარი 2016
	ლარი	ლარი	ლარი
საწვავი	47,724	38,141	31,670
საბურავები	100,481	123,861	-
ტექნიკური მარაგები	226,636	235,396	282,936
სხვა მარაგები	41,429	48,790	80,472
სულ	416,270	446,188	395,078

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მარაგები არ არის დაგირავებული.

12 გადახდილი ავანსები

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	1 იანვარი 2016
	ლარი	ლარი	ლარი
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	204,183	177,985	177,985
სხვა ავანსები	522	-	-
სულ	204,705	177,985	177,985

შპს „გეიანთი ლოჯისტიკა“

2017 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
ქართულ ლარში

13 დებიტორული მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	1 იანვარი 2016
	ლარი	ლარი	ლარი
მოთხოვნები კონტრაქტორი კომპანიების მიმართ	2,910,058	3,586,970	8,170,868
მოთხოვნები ლოჯისტიკური კომპანიების მიმართ	3,174,267	2,424,502	1,046,915
მოთხოვნები სხვა იურიდიული კომპანიების მიმართ	1,792,759	916,702	474,405
სხვა დებიტორული მოთხოვნები	53,031	29,551	22,084
საექვო მოთხოვნების რეზერვი	(401,816)	(84,800)	(48,565)
სულ	7,528,299	6,872,925	9,665,707

არ არსებობს მატერიალური სხვაობა დებიტორულ მოთხოვნების საბალანსო და მის სამართლიან ღირებულებას შორის.

ქვემოთ მოცემულია საექვო მოთხოვნების რეზერვის მოძრაობა 2017 და 2016 საანგარიშგებო პერიოდში:

	დებიტორული დავალიანების გაუფასურების ანარიცხი	სულ
2016 წლის 1 იანვარი	(48,565)	(48,565)
რეზერვის ხარჯი წლის განმავლობაში	(36,235)	(36,235)
2016 წლის 31 დეკემბერი	(84,800)	(84,800)
რეზერვის ხარჯი წლის განმავლობაში	(317,016)	(317,016)
2017 წლის 31 დეკემბერი	(401,816)	(401,816)

14 ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	1 იანვარი 2016
	ლარი	ლარი	ლარი
ნაღდი ფული	2,087	4,144	1,024
ნაშთი მიმდინარე საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	171,919	92,700	132,114
ნაშთი მიმდინარე საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	1,678,255	2,333,921	1,820,884
სულ	1,852,261	2,430,765	1,954,022

არ არსებობს მატერიალური სხვაობა ფული და ფულის ექვივალენტების საბალანსო ღირებულებას და მის სამართლიან ღირებულებას შორის.

შპს „გეიანთი ლოჯისტიკის“

2017 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
ქართულ ლარში

15 საწესდებო კაპიტალი

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 114,800 ლარს.

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	1 იანვარი 2016
	ლარი	ლარი	ლარი
საწესდებო კაპიტალი	114,880	114,880	114,880
სულ	114,880	114,880	114,880

გაცემულმა დივიდენდმა 2017 წლის საანგარიშგებო პერიოდში შეადგინა 1,699,733 ლარი (2016: 934,313 ლარი).

16 კრედიტორული დავალიანება

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	01 იანვარი 2016
	ლარი	ლარი	ლარი
დავალიანება კონტრაქტორი კომპანიების მიმართ	189,653	4,877	106,860
დავალიანება ლოჯისტიკურ კომპანიებთან	108,379	119,150	40,483
დავალიანება სხვა იურიდიულ კომპანიებთან	75,958	113,825	714,283
დავალიანება თანამშრომლების მიმართ	266,787	362,890	1,029,698
დავალიანება ფიზიკური პირების მიმართ	11,336	2,852	2,792
სხვა კრედიტორული დავალიანება	39,572	5,351	10,390
სულ კრედიტორული დავალიანება	691,685	608,945	1,904,506

არ არსებობს მატერიალური სხვაობა კრედიტორულ დავალიანების საბალანსო და მის სამართლიან ღირებულებას შორის.

17 კურსთაშორის სხვაობის წმინდა მოგება/(ზარალი)

	2017	2016
	ლარი	ლარი
მოგება კურსთაშორის სხვაობიდან	640,117	1,278,735
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	(898,714)	(468,172)
სულ	(258,597)	810,563

18 ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ

საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანოების განხორციელებისას, ჯგუფის ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს ჯგუფისთვის.

შპს „გეიანთი ლოჯისტიკა“

2017 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

- ლიკვიდურობის რისკი: რისკი რომ ჯგუფს არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით.
- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. ჯგუფი ექვემდებარება საბაზრო რისკის ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს - სავალუტო რისკს.

ჯგუფის მენეჯმენტს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება ჯგუფის რისკების მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე.

ჯგუფის რისკის მართვის პოლიტიკა განისაზღვრება ჯგუფის რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზის მიზნით, რისკის შესაბამისი ფარგლებისა და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად, ასევე რისკისა და მისი ფარგლების მონიტორინგისათვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და ჯგუფის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ ჯგუფის საოპერაციო ერთეულებთან ერთად.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ნაშთები კატეგორიების მიხედვით:

	2017	2016
	ლარი	ლარი
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	1,852,261	2,430,765
დებიტორული მოთხოვნები	7,528,299	6,872,925
სულ	9,380,560	9,303,690

	2017	2016
	ლარი	ლარი
ფინანსური ვალდებულებები		
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	-	-
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	-	-
კრედიტორული დავალიანება	691,686	608,946
სულ	691,686	608,946

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ჯგუფის ფინანსური ზარალის რისკი, ერთი მხარის მიერ მეორე მხარის მიმართ ფინანსური ვალდებულებების არ შესრულების შემთხვევაში.

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფი არ დგას მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის წინაშე.

ჯგუფის მაქსიმალური საკრედიტო რისკი მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	2017	2016
	ლარი	ლარი
ფული და ფულის ექვივალენტები	1,852,261	2,430,765
დებიტორული მოთხოვნები	7,528,299	6,872,925
სულ	9,380,560	9,303,690

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის იმის რისკი, რომ სუბიექტს გაუძნელდება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება. ლიკვიდურობის რისკი ეხება ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი

შპს „გეიანთი ლოჯისტიკის“

2017 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას. ლიკვიდობის რისკი არსებობს მაშინ, როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა.

ხელმძღვანელობის პოზიციით, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს აქვს საკმარისი ლიკვიდურობა ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად.

	ფული და ფულის ექვივალენტები	დებიტორული მოთხოვნები	სულ
	ლარი	ლარი	ლარი
1 წელზე ნაკლები	1,852,261	7,528,299	9,380,560
1 წლიდან 3 წლამდე	-	-	-
3 წლიდან 5 წლამდე	-	-	-
5 წელზე მეტი	-	-	-
2017 წლის 31 დეკემბერი	1,852,261	7,528,299	9,380,560
1 წელზე ნაკლები	2,430,765	6,872,925	8,666,900
1 წლიდან 3 წლამდე	-	-	-
3 წლიდან 5 წლამდე	-	-	-
5 წელზე მეტი	-	-	-
2016 წლის 31 დეკემბერი	2,430,765	6,872,925	8,666,900

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ნაშთები ვადიანობის მიხედვით:

	სასესხო და სხვა ფინანსური ვალდებულებები	კრედიტორული დავალიანება	სულ
	ლარი	ლარი	ლარი
1 წელზე ნაკლები	-	691,686	691,686
1 წლიდან 3 წლამდე	-	-	-
3 წლიდან 5 წლამდე	-	-	-
5 წელზე მეტი	-	-	-
2017 წლის 31 დეკემბერი	-	691,686	691,686
1 წელზე ნაკლები	-	608,946	608,946
1 წლიდან 3 წლამდე	-	-	-
3 წლიდან 5 წლამდე	-	-	-
5 წელზე მეტი	-	-	-
2016 წლის 31 დეკემბერი	-	608,946	608,946

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს კურსთაშორისი განაკვეთების, საპროცენტო განაკვეთების და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა იმოქმედოს ჯგუფის შემოსავალზე ან მის მიერ ფინანსური ინსტრუმენტების ფლობაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

სავალუტო რისკი

შპს „გიანთი ლოჯისტიკა“

2017 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება შეიცვლება საკურსო სხვაობის განაკვეთების ცვლილებების გამო. ჯგუფის განფენილობა საკურსო სხვაობის განაკვეთების ცვლილების რისკის მიმართ ძირითადად უკავშირდება აშშ დოლარში დენომინირებულ ფინანსურ ვალდებულებებს.

ფინანსური აქტივები დეკემბრის მდგომარეობით გაანალიზებული ვალუტებს მიხედვით:

	დებიტორული მოთხოვნები	ფული და ფულის ექვივალენტები	სულ
	ლარი	ლარი	ლარი
ევრო	163,521	494,472	657,993
დოლარი	5,465,877	122,461	5,588,338
2017 წლის 31 დეკემბერი	5,629,398	616,933	6,246,331
ევრო	172,739	581,976	754,715
დოლარი	5,605,914	1,742,047	7,347,961
2016 წლის 31 დეკემბერი	5,778,653	2,324,023	8,102,676

ფინანსური ვალდებულებები გაანალიზებული ვალუტების მიხედვით:

	სასესხო ვალდებულებები	კრედიტორული და სხვა ვალდებულებები	სულ
	ლარი	ლარი	ლარი
ევრო	-	30,417	30,417
დოლარი	-	348,231	348,231
2017 წლის 31 დეკემბერი	-	378,648	378,648
ევრო	-	32,698	32,698
დოლარი	-	78,925	78,925
2016 წლის 31 დეკემბერი	-	111,623	111,623

ლარის გაცვლითი კურსის სავარაუდო 10%-იანი გამყარება / გაუფასურება დოლარის მიმართ შეამცირებს / გაზრდის მოგებას 2017 წლისათვის 529,011 ლარით (2016: 776,759 ლარი). ლარის გაცვლითი კურსის სავარაუდო 10%-იანი გამყარება / გაუფასურება ევროს მიმართ შეამცირებს/ გაზრდის დაბეგვრის შემდგომ მოგებას 2017 წლისათვის 14,130 ლარით (2016 წლისათვის 13,410 ლარით).

შპს „გიანთი ლოჯისტიკა“

2017 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
ქართულ ლარში

19 ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

დედა კომპანიას აქციონერები არიან დავით ტულუში (50%) და გიორგი იდუკაშვილი (50%).

დედა კომპანიის შვილობილ კომპანიებს წარმოადგენს შპს გიანთი ქონსტრაქშენი და შპს გიანთი მოტორსი.
ასევე ჯგუფის სხვა დაკავშირებულ ორგანიზაციებს წარმოადგენს შპს გიანთი აგრო და შპს გიანთი თრეიდი.

	2017	2016
	ლარი	ლარი
ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან:		
შემოსავალი სხვა დაკავშირებული მხარეებიდან	1,109	11,695

	2017	2016
	ლარი	ლარი
ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან:		
დებიტორული მოთხოვნები	26,638	18,770
კრედიტორული დავალიანება	40,002	30,860

ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება შემდეგია:

	2017	2016
	ლარი	ლარი
მოკლევადიანი ანაზღაურება – ხელფასები და ბონუსები	376,713	497,527
სულ	376,713	497,527

20 პირობითი ვალდებულებები

საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული ვალდებულებები:

	2017	2016
	ლარი	ლარი
1 წელზე ნაკლები	16,514	17,558
1 წლიდან 5 წლამდე	270,068	434,387
5 წელზე მეტი	-	-
სულ სამომავლო მინიმალური საიჯარო გადასახდელები	24,450	18,664

შპს „გიანთი ლოჯისტიკა“

**2017 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
ქართულ ლარში**

21 ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლა

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის შპს გიანთი ლოჯისტიკის მიერ მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არის პირველი, რომელიც მან ფასს-ების სრული დაცვით მოამზადა. საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მომზადდა 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რაც არის ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლის თარიღი.

2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლის შედეგად მატერიალური კორექტირებები არ განხორციელებულა.

22 საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2018 წლის განმავლობაში ამ ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე ჯგუფმა გასცა 1,981,367 ლარი დივიდენდი დამფუძნებლებზე.